აქტი №137

## მომსახურების მიღება-ჩაბარების შესახებ

ქ.თბილისი 12 მარტი, 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი, ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ასორტი ვერე", მისი დირექტორის ჭაბუკი ცომაიას სახით, ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა ჩაიბარა, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა კვებითი მომსახურება 2015 წლის 12 მარტს.

| № | | თარიღი | თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | კვებითი მომსახურება. | 2015 წლის 12 მარტი | 83 ლარი |

გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 83 ( ოთხმოცდა სამი ლარი ) ლარს.

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება № 02.16.41 (14 იანვარი 2015წ.)

(იხ.დანართი: განკარგულება - 1 ფურცელი; ინვოისი - 1 ფურცელი;)

ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაცია
მის:ქ.თბილისი, შარტავას ქ.№7
„სახელმწიფო ხაზინა"
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

შ.პ.ს. „ასორტი ვერე"
მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის№50
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
კოდი: MIBGGE22
ა/ა №GE30PC0053600100018918
ს/კოდი: 404880474

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

ნ. ხატისკაცი

შ.პ..ს. „ასორტი ვერე"
დირექტორი

ჭ. ცომაია

შპს "ასორტი-ვერე" * GEORGIA. "ASSORTI-VERE" LTD * 404880474

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 02.16.41

"14" იანვარი 2015 წ.

## ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს საქმიანობისათვის ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ

„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 17 დეკემბრის N20.03.270 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს შემადგენლობა. აღნიშნული საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობა არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეს. ამასთან, საბჭოს წევრები მუშაობენ ანაზღაურების გარეშე. სხდომები ინიშნება კვირაში ერთხელ და მოქალაქეთა განაცხადების სიმრავლიდან გამომდინარე, მათი ხანგრძლივობა სამუშაო საათებს რამდენიმე საათით სცდება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 75-ე მუხლის „ე.თ" და „ე.კ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს უფლებამოსილებათა განხორციელებისას, კვირაში ერთხელ სხდომების მსვლელობისას, მათი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გაწეულ იქნეს კვებითი მომსახურება.
2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს: ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომების მსვლელობისას კვებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოს ქალაქ თბილისის 2015 წლის ბიუჯეტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის „წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის" გათვალისწინებული ასიგნებებიდან (10.2), საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ინვოისის საფუძველზე, არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეული სხდომისათვის.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ნინო ხატისკაცს.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ნარმანია